საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1/261

ქ. თელავი

„16" „03" 2018 წ.

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის, 35-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის №122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 26-ე მუხლის, 27-ე მუხლის პირველი პუნქტის, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2014 წლის 30 მაისს დამტკიცებული (ოქმი №15) „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის" შესახებ დებულების მე-4 მუხლის 4.2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანის ნანა რინკიაშვილის სამსახურებრივი ბარათისა (19/02/2018წ. №181108) და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 16 მარტის №14 საოქმო დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტზე გამოცხადდეს კონკურსი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად მიმდინარე წლის 16 მარტს, შემდეგი მონაცემების მიხედვით:

ეკონომიკის მიმართულება

- პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე 6 (ექვსი) წლის ვადით

2. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა მონაცემების შეფასება განხორციელდება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2014 წლის 30 მაისს დამტკიცებული (ოქმი №15) „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის შესახებ დებულების“ მიხედვით;
3. კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია დაიწყოს 2018 წლის 16 აპრილს და დასრულდეს 2018 წლის 23 აპრილს;
4. საბუთების მიღება განხორციელდეს უნივერსიტეტის I კორპუსის II სართულზე № 39-ე ოთახში, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 საათიდან - 17:00 საათამდე;
5. კონკურსის ჩატარების დღედ განისაზღვროს 2018 წლის 30 აპრილი;
6. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ადამიანური რესურსების მენეჯერს (ქ. ხმალაძე);
7. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტს;
8. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას (მ. ბეჟანიშვილი) ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე;
9. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს (ნ. კახაშვილი) ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

უნივერსიტეტის რექტორი: /ირმა შიოშვილი/